სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14/06/2024

MES 7 24 0000665676

აკადემიური საბჭოს
დადგენილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის N5 ოქმის შესაბამისად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტის მოცულობით) ამ დადგენილების დანართი 1-ის შესაბამისად.
2 დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტის მოცულობით) ამ დადგენილების დანართი 2-ის შესაბამისად.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჩაბარდეს იურიდიულ ფაკულტეტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
5. საფუძველი: იურიდიული ფაკულტეტის 2024 წლის 10 ივნისის #8 და #9 გადაწყვეტილებები.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ზერიძე მაკა